# შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

საქართველოს მთავრობას, შპს „საგურამო ენერჯის" და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაურს" შორის 2015 წლის 24 მარტს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში (შემდგომში: „**მემორანდუმი**") ცვლილების შეტანის თაობაზე

თბილისი 24 სექტემბერი, 2015წ.

ერთი მხრივ, **საქართველოს მთავრობა** (შემდგომში „**მთავრობა**"), წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ,

მეორე მხრივ, **შპს „საგურამო ენერჯი"** (შემდგომში „**საპროექტო კომპანია**"), საიდენტიფიკაციო კოდი: 206337007, წარმოდგენილი დირექტორის მელსიკ აკობიანის მიერ,

მესამე მხრივ, **შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"** (შემდგომში „**კომპანია**"), საიდენტიფიკაციო კოდი: 203826002, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის გიორგი ცხადაძის მიერ,

დებენ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. შეიცვალოს მემორანდუმის დანართი N2 და ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმებაზე დართული ფორმით.
2. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ დანართ #2-ში მოცემული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების ვადის დარღვევის შემთხვევაში, კომპანიას დაეკისრება მემორანდუმის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა 500 აშშ დოლარის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხოლო ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა აითვლება 2015 წლის 24 ივლისიდან.
3. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.
4. წინამდებარე შეთანხმება დადებულია და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. ყველა დავა, რომელიც წარმოიშვება წინამდებარე შეთანხმებასთან დაკავშირებით, გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
5. წაინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, სამ თანაბარუფლებიან ეგზემპლიარად.

**საქართველოს მთავრობა**

____________________

კახა კალაძე

**შპს „საგურამო ენერჯი"**

____________________

მელსიკ აკობიანი

**შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"**

____________________

გიორგი ცხადაძე

**დანართი N2**

| **სამშენებლო ფაზა** | |
|---|---|
| სამშენებლო ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყება | ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში მიღება |
| 8 თვე მემორანდუმის ხელმოწერის დღიდან | 28 თვე მემორანდუმის ხელმოწერის დღიდან |

# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№2023 2015 წლის 23 სექტემბერი ქ. თბილისი

## საქართველოს მთავრობას, შპს „საგურამო ენერჯისა“ და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ შორის 2015 წლის 24 მარტს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „საგურამო ენერჯისა“ და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ შორის დასადები შეთანხმების პროექტი საქართველოს მთავრობას, შპს „საგურამო ენერჯისა“ და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ შორის 2015 წლის 24 მარტს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე.
2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი — ირაკლი ღარიბაშვილი

N5603

# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
# MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA010174548336515

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა, ტელ 2 40-51-48, 2 40-58-36, ელ ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel 2 40 51 48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№7142 16 / სექტემბერი / 2015 წ.

საქართველოს ენერგეტიკის
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2015 წლის 15 სექტემბრის №04/3436 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, შპს „საგურამო ენერჯის" და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს" შორის 2015 წლის 24 მარტს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმების პროექტი და გაცნობებთ, რომ მასთან დაკავშირებით სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს. აქვე შევნიშნავთ, რომ, ურთიერთგაგების მემორანდუმის მე-5 მუხლის თანახმად, კომპანიისთვის/საპროექტო კომპანიისთვის ჯარიმის არდაკისრება უნდა გადაწყდეს მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე მიხეილ სარჯველაძე